



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

23 სექტემბერი 2024



N 532/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

სს „საქართველოს მილსადენის კომპანიას საქართველოს ფილიალის“ საექსპორტო ნავთობსადენის დასავლეთი მარშრუტის საქართველოს სახმელეთო მონაკვეთის, სუფსის ტერმინალისა და საზღვაო გადასატვირთი მოწყობილობის პროექტის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

სს „საქართველოს მილსადენის კომპანიას საქართველოს ფილიალის“ მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია საექსპორტო ნავთობსადენის დასავლეთი მარშრუტის საქართველოს სახმელეთო მონაკვეთის, სუფსის ტერმინალისა და საზღვაო გადასატვირთი მოწყობილობის პროექტის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის განცხადება.

1997 წლის 2 ივნისს სს „საქართველოს მილსადენის კომპანიას საქართველოს ფილიალის“ საექსპორტო ნავთობსადენის დასავლეთი მარშრუტის საქართველოს სახმელეთო მონაკვეთის, სუფსის ტერმინალისა და საზღვაო გადასატვირთი მოწყობილობის პროექტზე გაცემულია გარემოსდაცვითი ნებართვა №0001. აღნიშნული ნებართვის და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე, 2021 წლის 24 მაისს, მითითებულ პროექტზე გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება №2-735). ამასთან, აღსანიშნავია, რომ 2016 და 2017 წლებში, სს „საქართველოს მილსადენის კომპანიას საქართველოს ფილიალის“ საქმიანობის ცვლილებებზე ასევე გაცემულია ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №44 და №74, რომელთა საფუძველზე, 2021 წლის 17 მაისს, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებები (ბრძანება №2-665 და №2-664).

2023 წლის 13 ივნისს, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის №DES 92300000194 ბრძანების საფუძველზე, განხორციელდა სს „საქართველოს მილსადენის კომპანიას საქართველოს ფილიალის“ 2021 წლის 24 მაისის №2-735 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმური შემოწმება, რის შედეგადაც დადგინდა, რომ ფაქტობრივი მდგომარეობა არ შეესაბამება 2021 წლის 24 მაისის №2-735 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გზშ-ის ანგარიშში, 2021 წლის 5 ივლისს შეთანხმებულ ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში და 2021 წლის 12 ივლისს შეთანხმებულ ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების პროექტში ასახულ მონაცემებს. გამოვლენილ დარღვევებზე 2023 წლის პირველ დეკემბერს, „საქართველოს

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 79⁷-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, კომპანიის მიმართ, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №081255 ოქმი, ხოლო 2023 წლის პირველი დეკემბრის, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფლებამოსილი პირის №001222 დადგენილებით, სს „საქართველოს მილსადენის კომპანიას საქართველოს ფილიალი“ ცნობილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენად და ამავე კოდექსის 22-ე მუხლის შესაბამისად, გამოეცხადა სიტყვიერი შენიშვნა. აღნიშნული დადგენილება, არსებული მდგომარეობით, შესულია კანონიერ ძალაში.

სკრინინგის განცხადების თანახმად, სს „საქართველოს მილსადენის კომპანიის საქართველოს ფილიალის“ დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენი (WREP) ახორციელებს ნავთობის ექსპორტს აზერბაიჯანიდან, კასპიის ზღვაზე მდებარე სანგაჩალის ტერმინალიდან, საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე სუფსის ტერმინალამდე. აღნიშნული მილსადენის სიგრძე საქართველოს ტერიტორიაზე დაახლოებით 373 კმ-ია და მოიცავს 3 სატუმბ სადგურს (PS11, PS13 და PS15), 2 წნევის მარეგულირებელ სადგურს (PRS1 და PRS2), 3 უკუსარქველს, 28 ჩამკეტ სარქველსა და სუფსის ტერმინალს. სუფსის ტერმინალიდან, საზღვაო ჩასატვირთ პლატფორმამდე, ნავთობის ტრანსპორტირება ხორციელდება საზღვაო მილსადენით. სუფსის ტერმინალის ფუნქციას წარმოადგენს ნავთობის დროებითი განთავსება, საექსპორტო საზღვაო მილსადენისა და საზღვაო ჩასატვირთი პლატფორმის საშუალებით, ტანკერებში ჩატვირთვამდე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით, განხორციელდა ორი ობიექტის – PS13 სატუმბი სადგურისა და სუფსის ტერმინალის გარკვეული ინფრასტრუქტურის ცვლილებები. კერძოდ, 2021 წლის 5 ივლისს შეთანხმებულ ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის თანახმად, PS13 სატუმბი სადგურის ტერიტორიაზე, ნედლი ნავთობის ტრანსპორტირების უზრუნველსაყოფად, დახურულ სივრცეში, გათვალისწინებული იყო ორი ძირითადი და ერთი სარეზერვო მაგისტრალური ტუმბო (GPS კოორდინატები: X-461953 Y-4645476; X-461954 Y-4645484; X-461955 Y-4645491), რომელთაგან თითოეულის წარმადობა შეადგენდა 400 მ³/სთ-ს. PS13 სატუმბი სადგურის ელექტროენერგიით მომარაგება გათვალისწინებული იყო დიზელის ორი გენერატორით (GPS კოორდინატები: X-461976 Y-4645482; X-461982 Y-4645481), რომელთა სიმძლავრე შეადგენდა 280 კვტ/სთ-ს. ამავე ზდგ-ის ნორმების პროექტის მიხედვით, სადგურის ტერიტორიაზე ასევე გათვალისწინებული იყო 100 მ³ მოცულობის დიზელის ავზი (GPS კოორდინატები: X-461974 Y-4645459). ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით, PS13 სატუმბი სადგურის ტერიტორიაზე მოწყობილი მაგისტრალური ტუმბოების წარმადობაა 381 მ³/სთ, დიზელის გენერატორების სიმძლავრე – 240 კვტ/სთ, ხოლო დიზელის ავზის მოცულობა – 90 მ³. ამასთან, გენერატორების ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, მათ მიმდებარედ, დამატებით განლაგებულია დიზელის ორი სამარაგო რეზერვუარი, (GPS კოორდინატები: X-461987 Y-4645476; X-461988 Y-4645481), რომელთაგან თითოეულის მოცულობაა 1,52 მ³.

რაც შეეხება სუფსის ტერმინალის ტერიტორიაზე განხორციელებულ ცვლილებებს, გზმ-ის ანგარიშისა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების თანახმად, ტერმინალის ტერიტორიაზე გათვალისწინებული იყო 4 ერთეული, თითოეული 48 000 მ³ მოცულობის (მუშა მოცულობა – 39 754 მ³) ნავთობის რეზერვუარი, ხოლო ფაქტობრივი მდგომარეობით, აღნიშნული რეზერვუარების მუშა მოცულობა შეადგენს 40 000 მ³-ს. ამასთან, გზმ-ის ანგარიშისა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიხედვით, ტერმინალის სახანძრო წყლის სისტემისათვის გათვალისწინებული იყო წყლის ორი რეზერვუარი, თითოეული 1 200 მ³ მოცულობის, ხოლო ფაქტობრივი მდგომარეობით, ტერმინალის ტერიტორიაზე სახანძრო სისტემის შემადგენლობაში განთავსებული წყლის ორი რეზერვუარიდან, თითოეულის მოცულობა შეადგენს 1 250 მ³-ს (GPS კოორდინატები: X-729063 Y-4656317; X-729081 Y-4656293). გარდა ზემოაღნიშნულისა, გზმ-ის

ანგარიშის მიხედვით, ტერმინალის ტერიტორიაზე გათვალისწინებული იყო სამი საექსპორტო ტუმბო, რომელთაგან თითოეულის წარმადობა შეადგენდა 2 000 მ³/სთ-ს, ხოლო ფაქტობრივი მდგომარეობით, თითოეული ტუმბოს წარმადობა შეადგენს 1 927 მ³/სთ-ს. აღნიშნული ტუმბოების გვერდით, დამატებით მოწყობილია დიზელის სამი რეზერვუარი, თითოეული 3 560 ლ ტევადობის (GPS კოორდინატები: X-729182 Y-4656090; X-729188 Y-4656082; X-729194 Y-4656074). ამასთან, ფაქტობრივი მდგომარეობით, ტერმინალის ტერიტორიაზე განთავსებული ორი წყლის საქაჩი ტუმბო, ნაცვლად 4 მეტრი სიმაღლის მქონე მილისა, აღჭურვილია 7,5 მეტრი სიმაღლის მილით, ხოლო აღნიშნული ტუმბოებისთვის დამატებით მოწყობილია დიზელის ორი რეზერვუარი, თითოეული 1 მ³ მოცულობის (GPS კოორდინატები: X-729086 Y-4656321; X-729092 Y-4656313). გარდა ამისა, ნაცვლად 100 მ³ მოცულობის და 10 მეტრი სიმაღლის მილის მქონე რეზერვუარისა, ფაქტობრივი მდგომარეობით, ტერმინალის ტერიტორიაზე, ბეტონით შემოსაზღვრულ სივრცეში, განთავსებულია 160 მ³ მოცულობის დიზელის რეზერვუარი, რომელიც აღჭურვილია 7,4 მეტრი სიმაღლის მილითა და ერთი საჩამომსხმელო სვეტით (GPS კოორდინატები: X-729109 Y-4656281; X-729107, Y-4656292).

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, გზშ-ის ანგარიშითა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით, სუფსის ტერმინალის ტერიტორიაზე გათვალისწინებული იყო 50 ადამიანზე გათვლილი საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობა. 2021 წლის 12 ივლისს შეთანხმებულ ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების პროექტის მიხედვით, აღნიშნული გამწმენდი ნაგებობის წარმადობა შეადგენდა 45 მ³/დღ-ს. ფაქტობრივი მდგომარეობით, ობიექტის ტერიტორიაზე დამონტაჟებულია 70 მ³/დღ წარმადობის მქონე ბიოლოგიური გამწმენდი დანადგარი, რომელიც გათვლილია 150 ადამიანზე. ამასთან, სუფსის ტერმინალის ტერიტორიაზე წარმოქმნილი საწარმო-სანიაღვრე წყლების ჩაშვება გათვალისწინებული იყო მდ. სუფსაში, ხოლო ფაქტობრივი მდგომარეობით, საწარმო-სანიაღვრე წყლების ჩაშვება ხდება ტერმინალის ტერიტორიის მიმდებარედ, მდ. ჩირეში (GPS კოორდინატები: X-729270 Y-4655916). ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით ობიექტზე მოწყობილი 70 მ³/დღ წარმადობის მქონე ბიოლოგიურ გამწმენდ დანადგარში შეკრებილი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლები, საწყის ეტაპზე, გადის გისოსებს, რომლებიც აკავებს მექანიკურ მინარევებს, რის შემდგომაც მიეწოდება აერაციის ავზს. აღნიშნულ ავზში მიმდინარეობს გახანგრძლივებული აერაციის პროცესი, რის შედეგადაც ხდება ნალექის სტაბილიზება. აერაციის პროცესში ჟანგბადის საჭირო რაოდენობის მიწოდება ხორციელდება შესაბამისი დანადგარისა და დიფუზური სისტემის მეშვეობით, რაც იწვევს ორგანული ნივთიერებების ბიოდეგრადაციას. აღნიშნულის შემდგომ, ჩამდინარე წყლები გადადის სალექარში, სადაც ხდება ნალექის დალექვა და წყლის ავტომატურ ქლორატორში გადინება. შემდეგ ეტაპზე, ნალექის ნაწილი რეცირკულირდება აერაციის ავზში, ბაქტერიების საჭირო ოდენობის უზრუნველსაყოფად, ხოლო დანარჩენი ნალექი გადადის სტაბილიზატორში, სადაც ხდება აერობული სტაბილიზება. გაწმენდილი წყალი გროვდება საკონტაქტო რეზერვუარში და ტუმბოსა და მილსადენის საშუალებით ჩაედინება მდ. სუფსაში. ბიოლოგიური გამწმენდი დანადგარის გავლის შემდეგ, ჩამდინარე წყლის ხარისხობრივი მაჩვენებლებია: ჟმბ – 25 მგ/ლ; შეწონილი ნაწილაკები – 35 მგ/ლ; საერთო აზოტი < 15 მგ/ლ; საერთო ფოსფორი < 2 მგ/ლ; pH – 6,5 - 9,5. დოკუმენტის თანახმად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ უკავშირდება სუფსის ტერმინალის წყალმომარაგებისა და ჩამდინარე წყლების წარმოქმნის წყაროების, სხვადასხვა დანიშნულებით გამოყენებული წყლის მოცულობების, ჩამდინარე წყლების ხარჯების, მათი გაწმენდის მეთოდების ცვლილებას, აგრეთვე, უცვლელი დარჩა სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების ჩაშვების წერტილი. რაც შეეხება, სუფსის ტერმინალის ტერიტორიაზე წარმოქმნილ საწარმო-სანიაღვრე წყლებს, როგორც უკვე აღინიშნა, შეიცვალა მხოლოდ ჩაშვების წერტილი, ხოლო საწარმო-სანიაღვრე ჩამდინარე წყლების წარმოქმნის წყაროები, ხარჯი, გაწმენდის ხარისხი, მეთოდი და დანადგარები დარჩა უცვლელი.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, PS13 სატუმბო სადგურის ტერიტორიაზე განხორციელებული ცვლილებები დაკავშირებულია ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედების უმნიშვნელო ზრდასთან, კერძოდ, როგორც უკვე აღინიშნა ობიექტის ტერიტორიაზე დამატებით განთავსდა ორი, მცირე მოცულობის (1,52 მ³) დიზელის სამარაგო რეზერვუარი, ხოლო ნავთობის საქაჩი ტუმბოებისა და დიზელის გენერატორების სიმძლავრეები, აგრეთვე, დიზელის სამარაგო რეზერვუარის მოცულობა შემცირდა. რაც შეეხება სუფსის ტერმინალის ტერიტორიაზე განხორციელებულ ცვლილებებს, ტერმინალის ტერიტორიაზე დამატებით განთავსდა გაფრქვევის რამდენიმე წყარო, რაც დაკავშირებულია გოგირდწყალბადისა და ნაჯერი ნახშირწყალბადების გაფრქვევის წლიური მოცულობების უმნიშვნელოდ გაზრდასთან. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ არის დაკავშირებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედების მნიშვნელოვან ცვლილებასთან.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ ითვალისწინებს ხმაურის დამატებითი წყაროების განთავსებას და შესაბამისად, ობიექტის ფუნქციონირების პროცესში ხმაურის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედების გაზრდას ადგილი არ ჰქონია.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ არის დაკავშირებული ობიექტზე მოსალოდნელი ნარჩენების სახეობრივ და რაოდენობრივ ცვლილებასთან.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით წარმოდგენილი ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში გათვალისწინებული ღონისძიებები განხორციელდა PS13 სატუმბო სადგურისა და სუფსის ტერმინალის ტერიტორიაზე, ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილ გარემოში. შესაბამისად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით, ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედებას ადგილი არ ჰქონია.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა ლანჩხუთისა და მცხეთის მუნიციპალიტეტების მერიების საინფორმაციო დაფებზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების სპეციფიკის, მასშტაბისა და მახასიათებლების გათვალისწინებით, აღნიშნული ცვლილებები არ არის დაკავშირებული გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედების მნიშვნელოვან ცვლილებასთან.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-12 ნაწილისა და ამავე კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ სს „საქართველოს მილსადენის კომპანიას საქართველოს ფილიალის“ საექსპორტო ნავთობსადენის დასავლეთი მარშრუტის საქართველოს სახმელეთო მონაკვეთის, სუფსის ტერმინალისა და საზღვაო გადასატვირთი მოწყობილობის პროექტის ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;

2. სს „საქართველოს მილსადენის კომპანიას საქართველოს ფილიალი“ ვალდებულია, საქმიანობა განახორციელოს 2021 წლის 24 მაისს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-735) განსაზღვრული პირობების შესაბამისად, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით;
3. სს „საქართველოს მილსადენის კომპანიას საქართველოს ფილიალი“ ვალდებულია, სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 2 თვის ვადაში, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, უზრუნველყოს განახლებული ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების პროექტის სააგენტოსთან შეთანხმება, ხოლო ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს სააგენტოსთან შეთანხმებული ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების დაცვა;
4. სს „საქართველოს მილსადენის კომპანიას საქართველოს ფილიალი“ ვალდებულია, სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 2 თვის ვადაში, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, უზრუნველყოს განახლებული ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის (ზდგ) ნორმების პროექტის სააგენტოსთან შეთანხმება, ხოლო ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს სააგენტოსთან შეთანხმებული გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება;
5. სს „საქართველოს მილსადენის კომპანიას საქართველოს ფილიალისთვის“ ზემოაღნიშნული პირობები წარმოადგენს 2021 წლის 24 მაისს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-735) განსაზღვრული პირობების განუყოფელ ნაწილს და მათი შესრულება სავალდებულოა;
6. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს „საქართველოს მილსადენის კომპანიას საქართველოს ფილიალს“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
7. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „საქართველოს მილსადენის კომპანიას საქართველოს ფილიალის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
8. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და ლანჩხუთისა და მცხეთის მუნიციპალიტეტების მერიების საინფორმაციო დაფებზე;
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/#/532-21-4-202409231316>



